[სალომბარდო სესხი] ხელშეკრულება N წ.

სესხის საპროცენტო განაკვეთი

▪ კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი - ფიქსირებული
▪ კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი = _____%
▪ კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი = _____%
▪ კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კრედიტის ვადის გაგრძელების შემთხვევაში = _____%

ფინანსური ხარჯები

ვადის ბოლოს შენატანი (ძირი+პროცენტი) = _____ ლარი

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

▪ კრედიტის ძირითადი თანხის ოდენობა = _____ ლარი
▪ მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა = _____ ლარი
▪ კრედიტის ვადა = _____ თვე
▪ სალომბარდო სესხის ხელშეკრულების მოქმედების ვადა = _____ თვე (მსესხებელი ვალდებულია კრედიტის თანხა და მასზედ დარიცხული საპროცენტო სარგებელი დაფაროს არაუგვიანეს კრედიტის სარგებლობის ვადის ბოლო დღეს ან გადაიხადოს მხოლოდ კრედიტის სარგებლობისთვის გადასახდელი საპროცენტო სარგებელი და გააგრძელოს კრედიტის სასრგებლობის ვადა (ხელშეკრულების მოქმედების ვადა) კომპანიის თანხმობით. კრედიტის სარგებლობის ვადის (ხელშეკრულების მოქმედების ვადის) გაგრძელების შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია კრედიტის სარგებლობისთვის გადასახდელი საპროცენტო სარგებელი გადაიხადოს ყოველი გაგრძელებული თვის _____ რიცხვამდე).
▪ პირგასამტეხლოვადაგადაცილებისთვის = ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ნარჩენი ძირითადი თანხის 0,27%, ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში ხარჯების (მათ შორის, კრედიტის %-ის) დაკისრება წყდება მას შემდეგ, რაც მათი ჯამური მოცულობა მიაღწევს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.

ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სესხთან დაკავშირებული სასესხო მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ წინამდებარე სესხის უზრუნველყოფის საშუალებ(ებ)ის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების (მათ შორის, ქონების რეალიზაციის ან/და დასაკუთრების გზით) განხორციელებით.

▪ მომხმარებელს (მსესხებელს) უფლებააქვსწარადგინოსპრეტენზიაკომპანიისმომხმარებელთა პრეტენზიებისგანხილვისსამსახურშიზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა - <http://nbg.gov.ge/cp> და ცხელ ხაზზე - 032 2 406 406

ქ. თბილისი

სალომბარდო სესხის ხელშეკრულება №

წ.

1.ხელშეკრულების მხარეები:

ერთი მხრივ, სს მისო „ინტელექსპრესი“ (ს/ნ: 202353176, სამართლებრივი ფორმა: სააქციო საზოგადოება, საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის ფორმა: მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რეგისტრაციის მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის გამზ.89/24, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: 249 25 25, საზედამხედველო ორგანოს დასახელება და მისამართი: საქართველოს ეროვნული ბანკი, მის: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N2) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის მინდობილი პირის _____ სახით, შემდგომში კომპანია და მეორე მხრივ, მსესხებელი/მომხმარებელი : _____, დაბადებული _____, მცხოვრები: _____, ს/ნ _____ პირადი ნომერი: , ტელეფონი: _____

2.ხელშეკრულების საგანი:

კომპანიამ გასცა, ხოლო მსესხებელმა მიიღო სასყიდლიანი კრედიტი შემდეგი პირობებით:

2.1 კრედიტის თანხა (კრედიტის მთლიანი თანხა): _____ ლარი;

2.2 კრედიტის სარგებლობის ვადა: _____ (_____-მდე);

2.3 კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი - ფიქსირებული

2.3.1 კრედიტის სარგებლობისთვის გადასახდელი საპროცენტო სარგებელი შეადგენს წლიურ ____%-ს

2.4 კრედიტისეფექტურისაპროცენტოგანაკვეთი: _____%

2.4.1 კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კრედიტის ვადის გაგრძელების შემთხვევაში:___%

2.5 პირგასამტეხლო შეადგენს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე კრედიტის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27%-ს, ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში ხარჯების (მათ შორის, კრედიტის %-ის) დაკისრება წყდება მას შემდეგ, რაც მათი ჯამური მოცულობა მიაღწევს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.

2.6. კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის საკომისიო: 0.00%

2.7. მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა = _____ ლარი

2.8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა = _____

2.9.ფინანსური ხარჯი

2.9.1. ვადის ბოლოს შენატანი (ძირი+პროცენტი) = _____ ლარი

2.10. კრედიტის ტიპი - სალომბარდო სესხი

2. 11.მსესხებელმა წინამდებარე ხელშეკრულებით წარმოშობილი საკუთარი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად დააგირავა და კომპანიამ მფლობელობაში მიიღო გირავნობის საგანი (დაგირავებული ნივთი/ნივთები) შეფასების აქტის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (დანართი1)

3.კომპანიას უფლება აქვს:

3.1. შეამციროს გირავნობის საგნის შეფასების დადგენილი ტარიფები.

3.2. მსესხებლის მხრიდან კრედიტის სარგებლობისთვის გადასახდელი საპროცენტო სარგებლის თხუთმეტი კალენდარული დღით დაგვიანების შემთხვევაში განახორციელოს გირავნობის საგნის რეალიზაცია მსესხებლის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების დასაფარად. კომპანია უფლებამოსილია უშუალოდ (პირდაპირი მიყიდვის გზით) მოახდინოს გირავნობის საგნის რეალიზაცია. კომპანია უფლებამოსილია გირავნობის საგნის რეალიზაცია განახორციელოს მსესხებლის შეტყობინების გარეშე.

3.3. მოახდინოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებ(ები)ის/მოთხოვნ(ებ)ის დაგირავება ან/და სხვაგვარად დატვირთვა მსესხებელთან შეთანხმების და მისი შეტყობინების გარეშე

3.4. მსესხებელთან შეთანხმების გარეშე გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი უფლებები ან/და ვალდებულებები მესამე პირს.

3.5. მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების პირველადი ან/და ნებისმიერი შემდგომი დარღვევის შემთხვევაში, შეწყვიტოს ხელშეკრულება ან/და განახორციელოს კანონმდებლობით/ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები.

4.კომპანია ვალდებულია:

4.1 ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მსესხებლის ყველა ვალდებულების დროულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში გირავნობის საგანი დაუბრუნოს მსესხებელს ან მის წარმომადგენელს, სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე.

5. მსესხებელი:

5.1 ვალდებულია კრედიტის თანხა და მასზედ დარიცხული საპროცენტო სარგებელი დაფაროს არაუგვიანეს კრედიტის სარგებლობის ვადის ბოლო დღეს (წინამდებარე ხელშეკრულების 2.2. მუხლში აღნიშნული თარიღის შესაბამისად) ან გადაიხადოს მხოლოდ კრედიტის სარგებლობისთვის გადასახდელი საპროცენტო სარგებელი და გააგრძელოს კრედიტის სასრგებლობის ვადა (ხელშეკრულების მოქმედების ვადა) კომპანიის თანხმობით. კრედიტის სარგებლობის ვადის (ხელშეკრულების მოქმედების ვადის) გაგრძელების შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია კრედიტის სარგებლობისთვის გადასახდელი საპროცენტო სარგებელი გადაიხადოს ყოველი გაგრძელებული თვის ___ რიცხვამდე.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულების 5.1. მუხლში აღნიშნული რომელიმე ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო 2.5 მუხლში მითითებული ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

5.3. ადასტურებს, რომ გირავნობის საგანი არის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო.

5.4. მსესხებლის მიერ სესხის დასაფარავად კომპანიისთვის გადაცემული ან სხვა გზით კომპანიის მფლობელობაში გადასული მსესხებლის ვალდებულების დასაფარად მიმართული თანხით პირველ რიგში დაიფარება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ პროცენტი და ბოლოს ძირი თანხა.

5.5. უფლებამოსილია დაფაროს კრედიტი ვადაზე ადრე.

5.6. ერთზე მეტი მიმდინარე დავალიანების არსებობის შემთხვევაში, როდესაც მსესხებლის მიერ გადახდილი თანხა არ არის საკმარისი ერთზე მეტი ვადამოსული/ვადაგადაცილებული ვალდებულების სრულად შესასრულებლად, მაშინ დაიფარება ის ვალდებულება, რომელსაც მსესხებელი გადახდის დროს ამოირჩევს; ხოლო, თუ მსესხებელი არ ამოირჩევს, მაშინ დაიფარება ის ვალდებულება, რომლის გადახდის ვადაც პირველად დადგა. თუ ვალდებულებათა შესრულების ვადა ერთდროულად დადგა, მაშინ თავდაპირველად უნდა შესრულდეს ის ვალდებულება, რომელიც თანხობრივად ყველაზე მეტია. თუ ვალდებულებები თანაბარი ოდენობისაა, თავდაპირველად უნდა შესრულდეს ის, რომელიც ყველაზე ნაკლებად არის უზრუნველყოფილი.

5.7. უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია კომპანიის მომხმარებელთა პრეტენზიების განხილვის სამსახურში ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

6.სხვა დებულებები

6.1 სალომბარდო სესხის დროულად დაფარვის შემდეგ, გირავნობის საგნის გატანა მოხდება ყოველი კვირის ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს. თუ გირავნობის საგნის გატანის დღე ემთხვევა უქმე დღეს, მაშინ გირავნობის საგნის გატანა განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს. მსესხებელი ვალდებულია გირავნობის საგნის გატანამდე ერთი სამუშაო დღით ადრე მაინც დაფაროს სალომბარდე სესხი.

6.2.გირავნობის საგანს კომპანია აფასებს წონით, მათში ოქროს შემცველობის მიხედვით და არანაირ პასუხისმგებლობას გირავნობის საგნის გარეგნულ იერ-სახეზე არ აგებს.

6.3.მსესხებლის ან მესამე პირის მიერ წისნწრებით კრედიტის სრულად დასაფარად საკმარისი თანხის გადახდით მოხდება კრედიტის წინსწრებით დაფარვა ავტომატურად.
6.4.ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.
6.5.კომპანიას უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშერკულება, მიუხედავად იმისა დარღვეულია თუ არა მსესხებლის მხრიდან რაიმე ვალდებულება კომპანიის მიმართ. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ კომპანია უფლებამოსილია აცნობოს მსესხებელს რომელიმე მითითებული ფორმით: ზეპირად, წერილობით, ხელშეკრულებაში მითითებულ მობილურ ნომერზე სმს-ის გაგზავნით ან/და სხვა საშუალებით.
6.6 მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერი დავა გამომდინარე ამ ხელშეკრულებიდან და მასთან დაკავშირებული აქცესორული ხელშეკრულებებიდან, დაკავშირებული მათ გაუქმებასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან, და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან, ასევე წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობასა და არსებობასთან დაკავშირებული საკითხები განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა შპს ფინანსური დავების არბიტრაჟი (ს/კ 405171353) (შემდგომში ,,არბიტრაჟი“). აღნიშნული არბიტრაჟი საქმეს განიხილავს საკუთარი დებულებით დადგენილი წესით. ამასთან გამოიყენება არბიტრაჟის დებულების ის რედაქცია, რომელიც მოქმედებს საარბიტრაჟო სარჩელის მიღების თარიღისათვის. საქმეს განიხილავს არბიტრაჟი ერთი არბიტრის შემადგენლობით, რომელსაც ნიშნავს არბიტრაჟი. საარბიტრაჟო განხილვის ადგილად განისაზღვროს თბილისი, საქართველო. საარბიტრაჟო განხილვა წარმოებს ქართულ ენაზე.
6. 7.პრეტენზიების წარდგენა. კომპანიის მომსახურებით უკმაყოფილების შემთხვევაში მსესხებელს უფლება აქვს კომპანია მიმართოს პრეტენზიით (რომლის სტანდარტული ფორმის მიღება შესაძლებელია კომპანიის ფილიალებში და სერვისცენტრებში, ხოლო ელექტრონული ფორმა ხელმისაწვდომია კომპანიის ინტერნეტ-გვერდზე: www.intelexpress.net). მსესხებლის პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე სათანადო ფორმით შედგენილი წერილობითი/ელექტრონული პრეტენზიის კომპანიის მიერ მიღების მომენტიდან. პრეტენზიას განიხილავს კომპანიის მომხმარებელთა პრეტენზიების განხილვის სამსახური. პრეტენზიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ მსესხებელს ეცნობება წერილობით ან/და კომუნიკაციის სხვა საშუალებით (ელექტრონული, ციფრული ან სხვა). პრეტენზიის განხილვის პროცედურასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია კომპანიის ინტერნეტ-გვერდზე: www.intelexpress.net და ტელეფონის ნომერზე: 2492525.
6.8. მსესხებელი თანახმაა,მის მიერ კომპანიისთვის ამ ხელშეკრულებაში საკონტაქტოდ მითითებული მობილური ტელეფონის ნომერი გამოყენებულ იქნას კომპანიის მიერ მსესხებელთან დასაკავშირებლად ან/და ტექსტური ინფორმაციის (შეტყობინების) მისაწოდებლად. მსესხებელი ვალდებულია დაუყონებლივ აცნობოს კომპანიას საკონტაქტო ტელეფონის(ელექტრონული კომუნიკაციის)ცვლილების შესახებ.შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი გაგზავნილია ამ ხელშეკრულებაში მითითებულ საკონტაქტო ნომერზე,მიუხედავად იმისა ჩაბარდა თუ არა იგი მსესხებელს. მსესხებლის მიერ სესხის ვადაგადაცილებისა და სხვა ნებისმიერი ტიპის დავალიანების წარმოშობის, ასევე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შეწყვეტის/დროებით შეჩერების შემთხვევაში კომპანია ზემოაღნიშნული გარემოებ(ებ)ის დადგომიდან არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღის ვადაში შეატყობინებს მსესხებელს ამ პუნქტით დადგენილი წესით. კომპანია არ აგებს პასუხს ამ უკანასკნელი ვალდებულების დარღვევისათვის, თუ ინფორმაციის მიწოდება ვერ ხერხდება მსესხებლის ბრალეულობით და/ან მსესხებელმა შეიცვალა საკონტაქტო ინფორმაცია და ამის შესახებ არ უცნობებია კომპანიისათვის.
6.9. მსესხებლის განცხადება: თანხმობას ვაცხადებ, რომ სს მისო „ინტელექსპრესმა“ კანონმდებლობით დადგენილი წესით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სალომბარდო სესხის მომსახურების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან მიიღოს, ორგანიზაციისთვის აუცილებელი, ჩემი პერსონალური მონაცემები.
6.10. მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდება სს მისო ინტელექსპრესი (მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, აღმაშენებლისგამზ. 89/24) შეაგროვებს/დაამუშავებს პირის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და პირობებით.. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება მომხმარებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის

და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობთ დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები). მომხმარებლის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანდარგურუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ სს მისო „ინტელექსპრესში“ ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ: სს მისო „ინტელექსპრესი“ არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გაკოტრების შემთხვევაში თქვენ შესაძლოა ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა.

7. მხარეთა ხელმოწერები

სს მისო „ინტელექსპრესი“---------- მსესხებელი----------